



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება

4-06-4-202001211410



N 06/4-რ  
21/01/2020

ქ.თბილისი

**შპს „საქართველოს სადაზღვევო ალიანსი-სადაზღვევო ბროკერი“-ს  
რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე**

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 24 დეკემბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის, აგრეთვე სადაზღვევო ბროკერის დამფუძნებლისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები“-ს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N 102 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და შპს „საქართველოს სადაზღვევო ალიანსი-სადაზღვევო ბროკერი“-ს 2020 წლის 17 იანვრის წერილობითი განცხადების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გაუქმდეს შპს „საქართველოს სადაზღვევო ალიანსი-სადაზღვევო ბროკერი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406261673, სადაზღვევო ბროკერთა რეესტრში რეგისტრაციის ნომერი N 012046) რეგისტრაცია.
2. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, გადაეცეს შპს „საქართველოს სადაზღვევო ალიანსი-სადაზღვევო ბროკერი“-ს და 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.
3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მონაცემები ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახოს სადაზღვევო ბროკერთა რეესტრში (მათ შორის ელექტრონულ რეესტრში).

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ონოფრიშვილი

*დ. ონოფრიშვილი*

სამსახურის უფროსი

